

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-07/12355
18/10/2018

12355-2-07-2-201810181017



აიპ საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS Reformanda)
ფაქტ-მეტრის (FactCheck) მთავარ რედაქტორს
ბატონ დავით ქუტიძეს

(მის: ქალაქი თბილისი, კოსტავას ქ.№75გ;
ელექტრონული ფოსტა: info@factcheck.ge)

ტელ: 2 30 90 25

საკონტაქტო პირი: ვერიკო სუხიაშვილი
(ელექტრონული ფოსტა: nanovero71@gmail.com
მობ: 599 78 65 61)

ბატონო დავით,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში (შემდგომში - დეპარტამენტი) 2018 წლის 04 ოქტომბერს შემოვიდა თქვენი 2018 წლის 1 ოქტომბრის №186 წერილი (დეპარტამენტში რეგისტრაციის №20367/2) (შემდგომში-წერილი), რომლითაც ითხოვთ სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზასთან და კომპანია „სინოჰიდროსთან“ დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას.

თქვენი წერილით მოთხოვნილ ინფორმაციას წარმოგიდგენთ თქვენი წერილის შესაბამისი პუნქტების გათვალისწინებით:

პირველ პუნქტთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ კომპანია “Sinohydro Corporation Limited” (შემდგომში-კომპანია) ამჟამად ახორციელებს სამშენებლო სამუშაოებს ჩქაროსნული ავტომანქანების სამ მონაკვეთზე:

1. E-60 ავტომანქანების ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთის კმ0+000-კმ5+800 (ლოტი I) სამშენებლო სამუშაოები ხორციელდება დეპარტამენტსა და კომპანიას შორის 2017 წლის 14 სექტემბერს გაფორმებული №EWHCIP/CW/ICB-01 ხელშეკრულების ფარგლებში, რომელის ღირებულებაც შეადგენს - 133 530 690.63 ლარს (ას ოცდაცამეტი მილიონ ხუთას ოცდაათი ათას ექვსას ოთხმოცდაათი ლარი და სამოცდასამი თეთრი). აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების შესრულების ვადა შეადგენს სამუშაოების დაწყებიდან 24 თვეს (2019 წლის 15 ნოემბერი).

2. E-60 ჩქაროსნული ავტომანქანების სამტრედია-გრიგოლეთის გზის მონაკვეთის კმ11+500-კმ30+000 (ლოტი II) მშენებლობა მიმდინარეობს დეპარტამენტსა და კომპანიას შორის 2015 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებული №EWHG/CW/ICB-02 ხელშეკრულების (შემდგომში - ხელშეკრულება) ფარგლებში, ღირებულებით - 253 979 678.24 (ორას ორმოცდაცამეტი მილიონ ცხრაას სამოცდაცხრამეტი ათას ექვსას სამოცდათვრამეტი ლარი და ოცდაოთხი თეთრი) ლარი. ხელშეკრულების გათვალისწინებით, სამშენებლო სამუშაოების შესრულების ვადა შეადგენს სამუშაოების დაწყებიდან 30 თვეს (2018 წლის 13 სექტემბერი). ამასთან, აღასნიშავია, რომ ამ დროისთვის სამშენებლო სამუშაოები გრძელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციებით.

3. ქობულეთის შემოვლითი გზის კმ12+400-კმ31+259 მონაკვეთის მშენებლობა (ლოტი II) მშენებლობა მიმდინარეობს დეპარტამენტსა და კომპანიას შორის 2012 წლის 26 ნოემბერს გაფორმებული №RCIP/CW/ICB-02 ხელშეკრულების ფარგლებში, ღირებულებით - 209 852 079.66

(ორას ცხრა მილიონ რვას ორმოცდათორმეტი ათას სამოცდაცხრამეტი ლარი და სამოცდაექვსი თეთრი) ლარი. სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია, გახსნილია სატრანსპორტო მოძრაობა და ამ ეტაპზე მიმდინარეობს დეფექტების შეტყობინების პერიოდი.

მეორე პუნქტით მოთხოვნილია სამტრედია-გრიგოლეთის (ოთხივე ლოტის) სახელშეკრულებო ღირებულება, კონტრაქტორი კომპანიის ვინაობა და დასრულების ვადები. აღნიშნულთან დაკავშირებით მოგახსენებთ შემდეგს:

1. ლოტი 1: სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ0+000-კმ11+500 (ლოტი I) მონაკვეთის მშენებლობაზე 2013 წლის 12 დეკემბერს დეპარტამენტსა და კომპანია “Road Building ALTCOM”-ს შორის გაფორმდა №EWHG/CW/ICB-01 ხელშეკრულება, ღირებულებით - 153 498 019.53 (ას ორმოცდაცამეტი მილიონ ოთხას ოთხმოცდათვრამეტი ათას ცხრამეტი ლარი და ორმოცდაცამეტი თეთრი) ლარი. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ კომპანია “Road Building ALTCOM” LLC-თან შეწყდა ხელშეკრულება და ამჟამად მიმდინარეობს სამშენებლო კომპანიის შერჩევა დარჩენილი სამუშაოების შესასრულებლად.

2. ლოტი 2: სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ11+500- კმ30+000 (ლოტი II) მონაკვეთის მშენებლობაზე 2015 წლის 13 ოქტომბერს №EWHG/CW/ICB-02 ხელშეკრულება გაფორმდა დეპარტამენტსა და კომპანია “Sinohydro Corporation Limited”-ს შორის, რომლის ღირებულებაც შეადგენს 253 979 678.24 (ორას ორმოცდაცამეტი მილიონ ცხრას სამოცდაცხრამეტი ათას ექვსას სამოცდათვრამეტი ლარი და ოცდაოთხი თეთრი) ლარს. სამშენებლო სამუშაოების შესრულების ვადა შეადგენს სამუშაოების დაწყებიდან 30 თვეს (2018 წლის 13 სექტემბერი).

3. ლოტი 3: სამტრედია გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ30+000- კმ42+000 (ლოტი III) სამშენებლო სამუშაოებზე 2017 წლის 27 ივნისს დეპარტამენტსა და კომპანია “Todini Costruzioni Generali S.p.A.”-ს შორის გაფორმდა №EWHG/CW/ICB-03 ხელშეკრულება, ღირებულებით - 138 042 409.99 (ას ოცდათვრამეტი მილიონ ორმოცდაორი ათას ოთხასცხრა ლარი და ოთხმოცდაცხრამეტი თეთრი) ლარი. სამუშაოების შესრულების ვადა შეადგენს სამუშაოების დაწყებიდან 24 თვეს (2019 წლის 12 ივლისი).

4. ლოტი 4: სამტრედია გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ42+000- კმ51+570 (ლოტი IV) მონაკვეთის მშენებლობაზე 2014 წლის 24 დეკემბერს დეპარტამენტსა და კომპანია “China Railway 23rd Bureau Group CO”-ს შორის გაფორმდა №EWHG/CW/ICB-04 ხელშეკრულება ღირებულებით - 113 207 155.11 (ას ცამეტი მილიონ ორას შვიდი ათას ას ორმოცდათხუთმეტი ლარი და თერთმეტი თეთრი) ლარი, ხოლო სამუშაოების დასრულების თარიღია 2018 წლის 24 დეკემბერი.

მესამე პუნქტში დასმულ საკითხთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ სამტრედია - გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ11+500-კმ30+000 (ლოტი II) მონაკვეთზე შესაბამისი ცვლილების განხორციელება შემოთავაზებული იყო კონტრაქტორი კომპანიის “Sinohydro Corporation Limited”-ს მიერ. კონტრაქტორი კომპანიის მიერ შემოთავაზებული შესაბამისი ცვლილება შემოწმებულია საერთაშორისო სახედამხედველო კომპანიის საერთაშორისო ექსპერტების მიერ. ცვლილება განხორციელდა ხელშეკრულების შესაბამისად, სახედამხედველო კომპანიის რეკომენდაციის, შესაბამისი მონაცემებისა და მასზე მომზადებული ანგარიშების საფუძველზე.

მეოთხე პუნქტით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სამტრედია - გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ11+500-კმ30+000 (ლოტი II) მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოები ხელშეკრულების მიხედვით უნდა დასრულებულიყო 2018 წლის 13 სექტემბერს. ამ ეტაპზე დეპარტამენტი კონტრაქტორი კომპანიის მიმართ იყენებს ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციებს, ხოლო სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს ხელშეკრულების შესაბამისად. სამშენებლო სამუშაოები დასრულდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

მეხუთე პუნქტში დასმულ საკითხზე, გაცნობებთ, რომ გარკვეულ ადგილებში წარმოიქმნა ჯდენები, რომელთაც გამოიწვევს ზოგიერთ ადგილას სუსტი გრუნტების არსებობით. აღნიშნულ ადგილებზე კონტრაქტორი კომპანია საკუთარი ხარჯებით აწარმოებს გამოსასწორებელ სამუშაოებს და ხელშეკრულების შესაბამისად მოხდება ჯდენების გამოსწორება.

მექვსე პუნქტთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ კომპანია „Sinohydro Corporation Limited”-ს მიერ წარმოდგენილი წინადადება შეესაბამებოდა სატენდერო მოთხოვნებს. ამასთან, ტენდერის

მიმდინარეობისას შესაბამისი დონორი ორგანიზაციის მიერ კომპანიის მიმართ სანქციები დაწესებული არ ყოფილა.

პატივისცემით,

სალომე წურჭუმია



საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი

იურიდიული სამსახური